Research

3 ივნისი 2024

საქართველო საერთაშორისო რეიტინგებში

ეკონომიკური მიმოხილვა და ინდიკატორები საქართველოში

გამოცემა #147

შესავალი

- ეს პუბლიკაცია აანალიზებს როგორი ვითარებაა **საქართველოში** ევროკავშირის წევრობის კანდიდატ სხვა ქვეყნებთან, **უკრაინასა** და **მოლდოვასთან** შედარებით, რათა წარმოაჩინოს მისი მდგომარეობა ევროინტეგრაციის კუთხით.
- ასევე, რამდენიმე ძირითად ინდექსსა და საერთაშორისო რეიტინგებზე დაყრდნობით, პუბლიკაცია აფასებს თუ როგორი მდგომარეობაა ზემოხსენებულ სამ ქვეყანაში, **ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან** შედარებით.
- პუბლიკაცია განიხილავს ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებს, ანალიზი კი მსოფლიოში აღიარებულ ინდექსებს ეფუძნება:
  - გლობალური მმართველობის ინდიკატორები
    - მთავრობის ეფექტიანობა;
    - კორუფციის კონტროლი;
  - ეკონომიკური თავისუფლება;
  - დემოკრატია;
  - სოციალური პროგრესი;
  - კეთილდღეობა.



*ევროკავშირში გაწევრიანება კომპლექსური საკითხია, რომლის ყოვლისმომცველი შეფასება მხოლოდ ამ ინდიკატორების მეშვეობით ვერ მოხდება, თუმცა მათი განხილვა მაინც გვაძლევს ღირებულ ინფორმაციას საქართველოს ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ.

გლობალური მმართველობის ინდიკატორები





- მსოფლიო ბანკის „გლობალური მმართველობის ინდიკატორების“ მიზანი ქვეყნების მმართველობის სტრუქტურების შეფასება და მათი შედარებაა. ერთ-ერთი ასეთი ინდიკატორია **მთავრობის ეფექტიანობა**, რომელიც აფასებს როგორც საჯარო და სამოქალაქო სერვისების ხარისხს, ასევე მათ დამოუკიდებლობის დონეს, პოლიტიკის შემუშავების ხარისხსა და ხელისუფლების სანდოობას. ამავდროულად, მეორე ინდიკატორი, კერძოდ, **კორუფციის კონტროლი**, ასახავს თუ რა მასშტაბით ხდება სახელმწიფო უფლებამოსილების პირადი ინტერესებისთვის გამოყენება.
- **2019-2022 წლებში საქართველოში მთავრობის ეფექტიანობის ინდიკატორის კლების საშუალო წლიურმა ტემპმა 1.3% შეადგინა და 75.7-დან 72.6-მდე შემცირდა**. ამავდროულად, მოლდოვაში 4.3%-იანი საშუალო წლიური ზრდა, ხოლო უკრაინაში 5%-იანი კლება დაფიქსირდა. მთავრობის ეფექტიანობის მაჩვენებლით, საქართველო ამ ქვეყნებთან შედარებით მოწინავე პოზიციაზეა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებში არსებულ მინიმალურ და მაქსიმალურ მაჩვენებლებს შორის ხვდება. მიუხედავად ამისა, საქართველო ჩამორჩება ევროკავშირის ქვეყნებში დაფიქსირებულ როგორც ყველაზე მაღალ (98.6 - დანია), ასევე საშუალო (79.1) მაჩვენებლებს.
- **2022 წელს მთავრობის ეფექტიანობის კუთხით საქართველომ ევროკავშირის 8 ქვეყანაზე მაღალი პოზიცია დაიკავა.** მასზე გაცილებით დაბალი მაჩვენებლები ჰქონდათ პოლონეთს (61.8), რუმინეთს (53.3) და ბულგარეთს (42.9).
- **2019-2022 წლებში საქართველოში კორუფციის კონტროლის მაჩვენებლის კლების საშუალო წლიურმა ტემპმა 1.7% შეადგინა,** მაშინ, როცა იგივე მაჩვენებელი იზრდებოდა მოლდოვასა (12.9%-ით) და უკრაინაში (6.3%-ით). ისევე, როგორც მთავრობის ეფექტიანობის შემთხვევაში, საქართველო წინ უსწრებს უკრაინას და მოლდოვას, თუმცა ჩამორჩება ევროკავშირის ქვეყნების მაქსიმალურ (100 - დანია) და საშუალო (77.2) მაჩვენებლებს.
- **ამასთანავე, 2022 წელს კორუფციის კონტროლის მხრივ საქართველომ ევროკავშირის 10 ქვეყანაზე უკეთესი შედეგი აჩვენა.** მასზე გაცილებით დაბალი მაჩვენებლები ჰქონდათ რუმინეთს (55.7), უნგრეთს (51.5) და ბულგარეთს (50.0).

წყარო: მსოფლიო ბანკი, გლობალური მმართველობის ინდიკატორები (2023)

ეკონომიკური თავისუფლება





*უნდა აღინიშნოს, რომ უკრაინის 2023 და 2024 წლის მონაცემები არაა ხელმისაწვდომი.

- **ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი,** რომელიც Heritage Foundation-ის მიერაა შემუშავებული, ახდენს ქვეყნის მდგომარეობის მრავალწახნაგოვან შეფასებას შემდეგ ოთხ კატეგორიაში მოქცეულ ინდიკატორებზე დაყრდნობით:
  - კანონის უზენაესობა (საკუთრების უფლებები, მთავრობის კეთილსინდისიერება და სასამართლოს ეფექტიანობა);
  - მთავრობის ზომა (საბიუჯეტო დანახარჯები, საგადასახადო ტვირთი და ფისკალური სიჯანსაღე);
  - რეგულაციების ეფექტიანობა (ბიზნესის, შრომისა და მონეტარული თავისუფლება);
  - ღია ბაზრები (სავაჭრო, საინვესტიციო და ფინანსური თავისუფლება).

- **2019-2024 წლებში საქართველოში ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის კლების საშუალო ყოველწლიურმა ტემპმა 2% შეადგინა და 75.9-დან 68.4-მდე შემცირდა.** გაუარესების მიუხედავად, საქართველოს მაჩვენებელი კვლავ აღემატება მოლდოვისა და უკრაინისას, მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროკავშირის მაქსიმუმს (82.6), ხოლო საშუალო მაჩვენებლის მსგავსია.
- **2024 წლისთვის, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მხრივ, საქართველოს ევროკავშირის 12 წევრ ქვეყანაზე უკეთესი შედეგი აქვს.** საქართველოსთან შედარებით საგრძნობლად დაბალია საბერძნეთის (55.1), უნგრეთისა (61.2) და იტალიის (60.1) მაჩვენებლები. ამავდროულად, ევროკავშირში საუკეთესო შედეგები ირლანდიასა (82.6) და ლუქსემბურგში (79.2) ფიქსირდება.

წყარო: Heritage Foundation (2024)





- **დემოკრატიის ინდექსი** Economic Intelligence Unit-ის მიერ დგინდება და ეფუძნება მონაცემებს საარჩევნო პროცესისა და პლურალიზმის, მთავრობის ფუნქციონირების, პოლიტიკური ჩართულობის, პოლიტიკური კულტურისა და სამოქალაქო თავისუფლების შესახებ, რათა შესაძლებელი გახადოს ქვეყნებს შორის შედარებითი ანალიზის ჩატარება.
- 2023 წელს საქართველოს ამ კატეგორიებიდან ყველაზე ცუდი შედეგი **მთავრობის ფუნქციონირებისა** (3.6/10) და **პოლიტიკური კულტურის** (3.8/10) ინდიკატორებში ჰქონდა, ხოლო ყველაზე კარგი - **საარჩევნო პროცესსა** და **პლურალიზმში** (ორივეში 7/10).
- **2019-დან 2023 წლამდე საქართველოს დემოკრატიის ინდექსი ყოველწლიურად საშუალოდ 1%-ით იკლებდა და 2023 წელს 5.2 ქულა შეადგინა.** უკრაინაში უფრო გამოხატული კლება შეინიშნებოდა (3.7%), ხოლო მოლდოვაში - ყოველწლიური 2%-იანი ზრდა. ამ დინამიკიდან გამომდინარე, საქართველო და უკრაინა „ჰიბრიდულ რეჟიმებს“ მიეკუთვნებიან, მაშინ, როდესაც 2021 წლიდან მოყოლებული მოლდოვა „არასრულყოფილ დემოკრატიადაა“ მიჩნეული.
- **სამივე ქვეყანა მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროკავშირის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს.** 2023 წლისთვის ევროკავშირის ქვეყნების საშუალო დემოკრატიის ინდექსი „არასრულყოფილი დემოკრატიისა“ და „სრული დემოკრატიის“ კატეგორიების ზღვარზე იყო.
- 2023 წელს, მოლდოვის მაჩვენებელი ევროკავშირის ქვეყნებიდან ყველაზე ახლოს ბულგარეთთან იყო, მაშინ, როდესაც საქართველოსა და უკრაინას გაცილებით უარესი პოზიციები ეკავათ.

წყარო: Economic Intelligence Unit, დემოკრატიის ინდექსი (2023)

სოციალური პროგრესი და კეთილდღეობა

სოციალური პროგრესის ინდექსი ევროკავშირის ქვეყნებში, საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში 2023 წელს (1=პირველი and 170=ბოლო)



კეთილდღეობის ინდექსი ევროკავშირის ქვეყნებში, საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში 2023 წელს (1=პირველი და 167=ბოლო)



- **სოციალური პროგრესის ინდექსი** არაეკონომიკურ ასპექტებზე დაყრდნობით და სხვადასხვა ინდიკატორების - ძირითადი ადამიანური მოთხოვნილებების, კეთილდღეობის საწყისებისა და შესაძლებლობების - ანალიზის მეშვეობით აფასებს მსოფლიოში არსებულ სოციალურ მდგომარეობას.
- **2023 წელს, სოციალური ინდექსის კუთხით, მოლდოვა, საქართველო და უკრაინა ევროკავშირის წევრ ყველა ქვეყანას ჩამორჩებოდნენ.** აღსანიშნავია, რომ 2019-დან 2023 წლამდე, უკრაინის პოზიცია საერთაშორისო რეიტინგში არ შეცვლილა, ხოლო მოლდოვის პოზიცია 12, საქართველოსი კი 2 ადგილით ჩამოქვეითდა.
- ინდიკატორების მიხედვით, 2023 წელს საქართველომ ყველაზე კარგი პოზიცია **საბაზისო განათლების** ინდიკატორში (22-ე ადგილი), ხოლო ყველაზე ცუდი **ინკლუზიური საზოგადოებისა** (118-ე ადგილი) და **არჩევანის თავისუფლების** ინდიკატორებში (103-ე ადგილი) დაიკავა.
- **კეთილდღეობის ინდექსი** არის კიდევ ერთი ინდიკატორი, რომელიც აგრეგირებულად აფასებს ქვეყნის მდგომარეობას (მათ შორის ეკონომიკურ ზრდას, სიმდიდრეს, საინვესტიციო გარემოსა და ცხოვრების დონეს).
- 2023 წელს საქართველომ რეიტინგში ყველაზე კარგი პოზიცია **საინვესტივიო გარემოს** კატეგორიაში (47-ე ადგილი), ხოლო ყველაზე ცუდი - **ეკოლოგიური გარემოს** ინდიკატორში (128-ე ადგილი) დაიკავა.
- **2023 წელს კეთილდღეობის ინდექსის მიხედვით საქართველო წინ უსწრებდა მოლდოვასა და უკრაინას, თუმცა ჩამორჩებოდა ევროკავშირის წევრ ყველა ქვეყანას.** 2019 წელთან შედარებით საქართველოს პოზიცია საერთაშორისო რეიტინგში არ შეცვლილა, თუმცა უკრაინა - 12, ხოლო მოლდოვა 11 ადგილით ჩამოქვეითდა.

წყარო: სოციალური პროგრესის ინდექსი (2023), Legatum Institute (2023)

- ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ინდექსების მიმოხილვით შესაძლებელია შეფასდეს თუ **რა კომპონენტებში ჩამორჩება საქართველო ევროკავშირს** და რა მიმართულებით აქვს სამუშაო ევრო-ატლანტიკური მიზნების მისაღწევად.

- აღნიშნული ინდექსების ანალიზი ცხადყოფს, რომ 2022 წლისთვის საქართველო **მთავრობის ეფექტიანობასა** და **კორუფციის კონტროლში** უმეტესად ნორმალურ პოზიციებს ინარჩუნებდა და ევროკავშირის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს ოდნავ ჩამორჩებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ მხრივ საქართველოს მოლდოვასა და უკრაინაზე უკეთესი მდგომარეობა აქვს, აღსანიშნავია 2019-2022 წლებში ზემოხსენებულ ინდიკატორებში დაფიქსირებული კლების ტენდენცია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იმავე პერიოდში მოლდოვამ მთავრობის ეფექტიანობა და კორუფციის კონტროლი, უკრაინამ კი - კორუფციის კონტროლი საგრძნობლად გააუმჯობესა.

- გარდა ამისა, საქართველოს ნორმალური შედეგი ჰქონდა **ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის** მხრივ (უკეთესი, ვიდრე უკრაინასა და მოლდოვას და ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელზე ოდნავ ნაკლები). თუმცა, 2021 წლიდან მოყოლებული შეინიშნება კლების ტენდენცია. კერძოდ, გაუარესდა **კანონის უზენაესობის, ფისკალური სიჯანსაღის, ბიზნესის, შრომისა** და **მონეტარული თავისუფლების ინდიკატორები.** აღსანიშნავია, რომ ეს ტენდენცია შეიძლება ნაწილობრივ კოვიდ-19 პანდემიას უკავშირდებოდეს (კანონის უზენაესობის ინდიკატორის გარდა).

- **დემოკრატიის ხარისხის** მხრივ, რომლის მაღალი დონეც ევროკავშირისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტია, საქართველო მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროკავშირის წევრ ქვეყნებსა და მოლდოვას. თუმცა, 2023 წლის მდგომარეობით საქართველოს უკრაინასთან შედარებით უკეთესი შედეგი აქვს.

- რაც შეეხება **სოციალური პროგრესისა** და **კეთილდღეობის რეიტინგებს**, საქართველო მცირედით ჩამორჩება ევროკავშირის ქვეყნებს. კეთილდღეობის ინდიკატორში საქართველოს მოლდოვასა და უკრაინაზე უკეთესი მდგომარეობა აქვს, თუმცა სოციალური პროგრესის რეიტინგში იგი მოლდოვას ჩამორჩება.

- **შერჩეული ინდიკატორების უმეტესობაში** (მთავრობის ეფექტიანობა, კორუფციის კონტროლი, ეკონომიკური თავისუფლება და კეთილდღეობა) **საქართველოს მოლდოვასა და უკრაინაზე უკეთესი შედეგები აქვს**. თუმცა, 2019 წლის შემდეგ საქართველოში გარკვეული მაჩვენებლები შესამჩნევად გაუარესდა, მაშინ, როდესაც მოლდოვასა და უკრაინას ზოგიერთ სფეროში მნიშვნელოვანი წინსვლა ჰქონდათ.

- ჩატარებული ანალიზის შედეგად გამოჩნდა, რომ **ყველაზე საყურადღებო განსხვავება საქართველოს მაჩვენებელსა და ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს შორის დემოკრატიის მხრივაა.** დღესდღეობით, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მიღების ფონზე, საქართველოში დემოკრატია საფრთხის წინაშეა და ზემოხსენებული საკითხი კიდევ უფრო აქტუალურია.

- **<u>ვენეციის კომისიის</u> მიერ გამოქვეყნებული გადაუდებელი დასკვნის მიხედვით**, კანონს (როდესაც ის ძალაში შევა) მნიშვნელოვანი უარყოფითი შედეგები ექნება შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების, საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობის უფლების და ასევე დისკრიმინაციის აკრძალვის კუთხით. გადაუდებელი დასკვნა ასევე ხაზს უსვამს, რომ კანონპროექტი წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციასთან (78-ე მუხლის თანახამად, კონსტიტუციურმა ორგანოებმა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში, უნდა მიიღონ ყველა ზომა ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად), აფერხებს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციას და ამცირებს მასში გაწევრიანების პოტენციურ შანსებს. გამომდინარე იქიდან, რომ ევროკომისიამ მოლდოვასა და უკრაინასთან **გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებები უკვე დაიწყო,** არსებობს საშიშროება, რომ მიმდინარე პროცესების გამო შესაძლებელია საქართველო ზემოხსენებულ ორ ქვეყანას მნიშვნელოვნად და შეუქცევადად ჩამორჩეს.

ძირითადი ინდიკატორები

ძირითადი ინდიკატორები	2019	2020	2021	2022	2023 I კვ.	2023 II კვ.	2023 III კვ.	2023 IV კვ.	2023	2024 I კვ.
ნომინალური მშპ (მლნ აშშ დოლარი)	17638.7	16010.7	18853.0	24989.5	6421.3*	7687.6*	8134.8*	8284.9*	30536.8*	-
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	4741.4	4300.8	5083.6	6731.2	1718.6	2057.5*	2177.2*	2227.5*	8210.1*	-
მშპ-ს რეალური ზრდა (%)	5.4%	-6.3%	10.6%	11.0%	8.2%*	8.1%*	7.0%*	6.9%*	7.5%*	-
ინფლაცია (%)	4.9%	5.2%	9.6%	11.9%	7.6%	1.6%	0.6%	0.4%	2.5%	0.3%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი)	1354.1	595.3	1252.7	2097.9	566.4*	505.7*	316.0*	206.5*	1594.7*	-
უმუშევრობის დონე(%)	17.6%	18.5%	20.6%	17.3%	16.4%	18.0%	16.7%	15.6%	16.4%	14.0%
სახელმწიფო საგარეო ვალი (მლნ აშშ დოლარი)	5741.0	7535.1	8205.3	8345.6	8 473.0	8 510.5	8 452.8	8 907.8	8 907.8	-
სიღარიბის დონე (ფარდობითი)	19.5%	21.3%	17.5%	15.6%	-	-	-	-	11.8%	-

*წინასწარი მონაცემები

სამართლებრივი შეტყობინება

ვებგვერდზე წარმოდგენილი პუბლიკაციები მომზადებულია PMC კვლევითი ცენტრის მიერ მხოლოდ საინფორმაციო და/ან მარკეტინგული მიზნებისთვის. პუბლიკაციებში ასახული ინფორმაცია წარმოადგენს მხოლოდ რჩევას და, შესაბამისად, მკითხველი თავად არის პასუხისმგებელი შინაარსის ნებისმიერ ინტერპრეტაციაზე. PMC კვლევითი ცენტრი არ იღებს პასუხისმგებლობას მკითხველის მიერ მასალების გამოყენების შედეგად წარმოშობილ პრეტენზიებზე. პუბლიკაცია წარმოდგენილია ისე, „როგორც არის“, ყოველგვარი გამოხატული ან ნაგულისხმევი რეპრეზენტაციისა და გარანტიის გარეშე.

ზემოთ მოყვანილი აბზაცის ზოგად გზავნილთან წინააღმდეგობის გარეშე, PMC კვლევითი ცენტრი არ იძლევა გარანტიას, რომ:

- პუბლიკაცია მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება;
- რომ პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია არის სრული, ჭეშმარიტი, ზუსტი ან არ არის შეცდომაში შემყვანი.

PMC კვლევითი ცენტრი იტოვებს უფლებას, დროდადრო შეცვალოს პუბლიკაციების შინაარსი ისე, როგორც ამას მიზანშეწონილად ჩათვლის.

PMC კვლევითი ცენტრი თავიდან იხსნის სხვა მხარეების უფლებების დარღვევასა ან PMC კვლევითი ცენტრის პუბლიკაციების გამოყენების შედეგად გამოწვეულ ნებისმიერ ზიანზე ყოველგვარ პასუხისმგებლობას. PMC კვლევით ცენტრს არ აქვს მკითხველის წინაშე პასუხისმგელობის ვალდებულება (კონტრაქტის კანონით, დელიქტური კანონით თუ სხვაგვარად) პუბლიკაციის შინაარსთან, გამოყენებასა ან პუბლიკაციასთან კავშირის ნებისმიერ სხვა ფორმასთან დაკავშირებით.

მკითხველი აღიარებს, რომ როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის სუბიექტი, PMC კვლევითი ცენტრი დაინტერესებულია, შეზღუდოს თავისი ოფიცრებისა და თანამშრომლების პირადი პასუხისმგებლობა. მკითხველი თანხმდება, რომ მისთვის პუბლიკაციით გამოწვეული ნებისმიერ დანაკარგის შესახებ პრეტენზიებს არ წამოუყენებს პირადად PMC კვლევითი ცენტრის ოფიცრებს ან თანამშრომლებს.

მკითხველი თანხმდება, რომ გარანტიებისა და ვალდებულებების შეზღუდვები, რომლებიც მითითებულია ამ სამართლებრივ შეტყობინებაში, იცავს PMC კვლევითი ცენტრის მკვლევრებს, ოფიცრებს, თანამშრომლებს, აგენტებს, შვილობილ კომპანიებს, მემკვიდრეებს, უფლებამოსილ პირებს და ქვეკონტრაქტორებს, ისევე როგორც თავად PMC კვლევით ცენტრს.

თუ ამ სამართლებრივი შეტყობინების რომელიმე დებულება მოქმედი კანონმდებლობით არის ან აღმოჩნდება არ აღსრულებადი, ეს არ იმოქმედებს პუბლიკაციის სხვა დებულებების აღსრულებადობაზეც.

გიორგი ხიშტოვანი
კვლევითი დირექტორი
g.khishtovani@pmcginternational.com

ნიკა კაპანაძე
მკვლევარი
n.kapanadze@pmcginternational.com

ნანა ქაჯაია
მკვლევარი
n.kajaia@pmcginternational.com

სალომე ყაველაშვილი
უმცროსი მკვლევარი
s.kavelashvili@pmcginternational.com

მარიამ ჯიქია
კვლევითი ასისტენტი
m.jikia@pmcginternational.com

მის.: 61 აღმაშენებლის გამზირი, მე-3 სართული, თბილისი, 0102, საქართველო.
ტელ: (+995 32) 2921171, 2921181
ელ. ფოსტა: research@pmcginternational.com
ვებსაიტი: pmcresearch.org